# მწყემსი

№ 17.



გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.



შინაარსი: რედაქციისაგან.—ოფიციალური ნაწილი. მიწერილობა სინოდალნის ობერ-პროკურორისა საქართველოს ექსარხოსზე.—უმაღლ. დაჯილდოება.—არა ოფიც. ნაწ. სასულიერო სასწავლებლების სამმართველოთა საყურადღებოდ.—ეკკლესიების ნამგვრევები ოსეთში.—ქრისტიან. გავრცელება საქართველოში X.—ქართული ინდიქტიონი დ ქორონიკონი.—საისტორიო მასალები.—არხეოლოგიური ცნობები.—ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—სხვა-დ-სხვა ამბები დ შენიშვნები.—ფარისეველური მიმართულება ახლანდელი დროის ხალხისა, დასასრული.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.


**რედაქციისაგან.** ჩვენდა სამწუხაროდ, საჩივრები მოგვივიდა ამ ბოლო დროს, რომ „მწყემსი“-ს №№ ბი თავის დროზე არ მოგვდისო. შევიტყვეთ ამასთან, სამწუხაროდ, ისიც რომ ზოგიერთი სასწავლებლების მეუფროსენი შაგირდებს არ აძლევენ წასაკითხავად „მწყემსი“-ს №№-ს.

„მწყემსის“ №№-ბი ყველა ხელის მომწერლებს თავის დროზე ეგზავნება და ფოსტა სადაც კი მიდის, ყველა ხელის მომწერნი უკვლებლად იღებენ. მაგრამ სოფლებში კი სწორეთ ძნელი საქმეა, რომ თავის დროზე და ყველა №№-ბი მიიღონ. სოფლის უეზდის მაზრებში ხელის მომწერლებს უთუოდ უნდა ჰყავდესთ ერთი ვინმე პირი არჩენილი, რომ მიღებისათანავე „მწყემსი“-ს №№-ბი მიიღოს და მოთხოვნამდისინ ხელის მომწერლებს შეუნახოს.

იმ სასწავლებლების მოწაფეებს, რომელთაც ჩვენ მუქთად „მწყემსს“ უგზავნით, მაგრამ მაინც ვერ შოობენ წასაკითხავად, ჩვენ ურჩევთ მათ დაგვინიშნონ ვინმე სამდო პირი და მის სახელზე გავგზავნით ყოველთვის „მწყემსი“-ს №№-ს.

ჯერეთ არ გვჯერა, რომ იმისთანა სასწავლებლების უმფროსები იყვნენ სადმე, რომელნიც „მწყემსი“-ს კითხვას უშლიდენ მაღალი კლასის მოწაფეებს. თუ სადმე არის, სამწუხაროდ, ამისთანა პირები, ვარწმუნებთ მათ, რომ „მწყემსი“-ს კითხვა მათ მოწაფეებს არა ვითარ ვნებას არ მოუტანს, გული დაიმშვიდონ.

ვსთხოვთ ყველას, ვისაც ნომრები არ მიუვიდეს, მალე შეგვატყობინონ.

# ოფიციალური ნაწილი.

## მიწერილობა უ. უწმიდესი სინოდის ობერ პროკურორისა 5 ივლისადმ 1884 წ., № 3192 მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს საქართველოს ექსარხოს არხიეპისკოპოს პავლეზე.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო ხელმწიფე და მწყემსთ მთავარო.

ცირკულიარის განკარგულებითა 4 ნოემბრიდამ 1866 და 31 ივლისიდამ 1882 წ. №№ 229 და 26 შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა უუ. გუბერნატორთა, რათა მათ არა ვითარი სახით არ მისცონ ნება ძველთა ნივთთა თხრით ძიებისა და ამისაგან მიუცილებლად მოსალოდნელი ყოველთა ძველ შესანიშნავ საგანთა დაქცევისა.

სხვათა შორის, როგორც სჩანს საიმპერატორო არხეოლოგიური კომისიის მოხსენებათაგან ზოგიერთ გუბერნიებისაგან სრულებით არ არიან წარმოდგენილნი უწყებანი და ცნობანი თუ რა შესანიშნავი საგნები აღმოჩნდნენ ამ გუბერნიებში, თუმცა ამ გუბერნიებიდამ სამძღვარგარეთაც კი გაუტანიათ სხვა-და-სხვა იქ ნახული შესანიშნავნი ძველნი განძები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ სამეცნიერო საისტორიო გამოკვლევაში.

სხვა გუბერნიებში ქალაქის სამართველოები თვითონ იწყებენ ძველ განძთა ძებნას და მასთან ხშირად მიანდობენ ხოლმე აღმოთხრას იმისთანა პირთა, რომელნიც სრულებით უცოდინარნი არიან არხეოლოგიისა.

ამისათვის ცირკულიარის მიწერილობითა 31 მაისიდამ მიმდინარის წლისა № 11. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ხელახლა სთხოვა გუბერნატორებს, რომ თვალ-ყური ადევნონ შემდეგ დროში მტკიცედ და მიუცილებლად ხსენებულ № 229 და 26 ნომრებთა ცირკულიარის აღსრულებას და მოახდინონ მათის მხრით ამა ცირკულიართა აღსასრულებლად განკარგულება.

ახლა თავსმჯდომარე საიმპერატორო არხეოლოგიური კომისიისა, მიიღებს რა სახეში ერთ ეპარხიაში მომხდარ შემთხვევას, შესანიშნავ ძველ განძთა ძებნისას, ურჩევნებს რა ამისთანა ძველ ნივთა ძებნის მავნებლობას, ადგილობრივის მთავრობის წაქეზებით, რომელსაც ამისთანა ძებნა მოუტანს მეცნიერულად ძველ ნაშთთა გამოკვლევის საქმეს და რომელიც ითხოვს ყოველ პირთაგან ამ საგნისათვის განსაკუთრებით მომზადებას და დიდი ყურადღების მიქცევას, მთხოვს მე ერთად ვიმოქმედოთ სამოქალაქო და სასულიერო მთავრობათა როგორც საერთო მამულის საინტერესო ძველ ნაშთთა, მოვახდინო განკარგულება ერთად შინაგან სახელმწიფო საქმეთა სამინისტროსთან შესახებ ძველ ნაშთთა ძებნისთვის საეკკლესიო ადგილებში.

მაქვს რა სახეში, რომ საიმპერატორო არხეოლოგიური კომისია საფუძველსა ზედა § 6 ამაზე უმაღლესად დამტკიცებულის დებულობისა ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს რაც კი რამ ძველი ნაშთი აღმოჩნდება მთელს სახელმწიფოში, რომელთა აღმოჩენას ადგილობითი მთავრობანი აუწყებენ კომისიას და თუ საძნელო არ იქმნა, მაშინ თვითონ ნივთებიც გაგზავნილი უნდა იქმნენ კომისიის განსახილველად, ვალად მაქვს დადგენილი რათა ზემოხსენებული ვაუწყო თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას გამოსაცხადებლად ამა ცნობათა თქვენდამო რწმუნებულ ეპარხიის სამღვდელოთადმი, საჭირო შემთხვევაში, ჯეროვან აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ.

შევითხოვ რა თქვენს ლოცვას, სრულის პატივის ცემით და მონდომით, პატივი მაქვს ვიყო თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობისა, მოწყალის ხელმწიფისა და მწყემსთ მთავრისა უმორჩილეს მოსამსახურედ.

კ. პობედონოსცევი.

## უმაღლესი დაჯილდოება.

ხელმწიფე იმპერატორმა, რვა აპრილს ამა 1884 წელსა, უუმოწყალესად კეთილ ინება დაჯილდოება, გორის ეპისკოპოსის, საქართველოს ეპარქიის ვიკარის, მართველის გურიის ეპარქიისა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი მოციქულთა სწორის ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენით.

# არა ოფიციალური ნაწილი.

## სასულიერო სასწავლებლების სამმართველოთა საყურადღებოდ.

ჩვენ არის დიდი ხანი, რაც ერთი პეტერბურღის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან შედგენილი ანგარიში წავიკითხეთ. გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა ანგარიში სასწავლებლის სამმართველოსაგან ჯერეთ ჩვენ არსად წაგვიკითხავს და, ვგონებთ, პირველიც უნდა იყოს ეს ანგარიში. ამ ანგარიშის წამკითხველს აღარა რჩება რა შეუტყობელი სასწავლებელში და გულ დამშვიდებული რჩება. ამ ანგარიშში ფულის შესავალ-გასავლის გარდა სხვაც ბევრი რამ ცნობებია. ანგარიშშია მოყვანილი, მაგალითებრ: რამდენი იყო სასწავლებელში წლის დამდეგს შაგირდები? რამოდენი შემოვიდა პირველ სეკდემბერს? მათში—რამოდენი იყო სასულიერო წოდების და რამოდენი საეროსციელოსი? რამოდენი გადვიდნენ ერთი კლასიდამ მეორეში, რამოდენი დარჩნენ და რა მიზეზით? რამდენმა შეასრულა სწავლა და როგორი სწავლის ნიშნები მიიღეს საშუალო რიცხვით? რამდენი იქმნა დათხოვნილი სასწავლებლიდამ, რა მიზეზისათვის და რა ზომები იყო ნახმარი მათ გასასწორებლად და სხვა-და-სხვა... ერთი სიტყვით ყოვლის მხრით იცით ეს სასწავლებელი ამ ანგარიშის წაკითხვის შემდეგ. სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა სასწავლებლის სამმართველოს ამისთანა ანგარიშის შედგენისათვის.

ნა რომელი სამღვდელოება არ გამოუცხადებს მადლობას სასწავლებლის სამმართველოს, რომელიც ამისთანა დაწვრილებით ანგარიშს წარუდგენს მას სასწავლებელზე! სასწავლებლის წესდება ერთგვარად მოქმედებს მთელს რუსეთის იმპერიაში, მაგრამ სასწავლებლის სამმართველონი კი, უნდა ვსთქვათ გამოტეხილი, ერთგვარად არ იქცევიან. სასწავლებლის წესდება სასწავლებლების სამართველოებს ვალად უდგენს წლიური ანგარიშების შედგენას და დარიგებას სამღვდელოთა შორის. ჩვენში ჯერეთ სრულებით არ ადგენდენ წლიურ ანგარიშებს და ამ ბოლო დროს, მართალია, დაიწყეს ანგარიშების ძლევა, მაგრამ ამ ანგარიშებით სამღვდელოება ვერ კმაყოფილდება, ამ ანგარიშებში მარტო იმ ფულის შესავალ-გასავლის ანგარიშებია, რომელიც სამღვდელოებას შემოაქვს სასწავლებლის შესანახავად და არა სხვა რამე. სამწუხაროდ, ამ ანგარიშებიდამ იმასაც ვერ ტყობილობს სამღვდელოება, თუ ვისგან რამდენი შემოვიდა და ვიზედ სახელდობრ რამდენი ფულები დარჩა შემოუტანელი. რაიცა შეეხება სხვა ცნობებს, ამ ანგარიშებში ისინი სრულებით არ მოიპოებიან და ძლიერ საჭირო კი არის, რომ ეს ცნობები დაწვრილებით შეიტყოს სამღვდელოებამ. იქნება სასწავლებლის სამმართველონი კიდეც ადგენდენ ამისთანა ანგარიშებს, მაგრამ გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამისთანა ცნობები და ანგარიშები სამღვდელოებისათვის სრულებით დაფარულია.

სასწავლებლის წესდების ძალით სასწავლებლის სამმართველონი ვალდებულნი არიან ამისთანა წლიური ანგარიშები სასულიერო გამოცემაში დაბეჭდონ და, თუ სასულიერო გამოცემანი არ არსებობენ, მაშინ ცალკე წიგნაკებად უნდა იბეჭდებოდნენ ეს ანგარიშები და ყველა მღვდლებს ურიგდებოდეს და არა მარტო დეპუტატებს.

ამისთანა წლიური დაწვრილებითი ანგარიშების გამოცხადება საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანს და სამღვდელოება უფრო იზრუნებს თავიანთ სასწავლებლებზე. ამისთანა დაწვრილებითი ანგარიშების შედგენაში მომეტებულ მონაწილეობას უნდა იღებდნენ სამღვდელოების მხრით დანიშნულნი სამმართველოს წევრნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უფრო არ ცდილობენ ამისთანა ანგარიშების შედგენას. არ ცდილობენ მიტომ, რომ ჯამაგირი მათ არა აქვსთ დანიშნული და უჯამაგიროთ მოსამსახურენი ეხლანდელ დროში ძლიერ ცოტანი არიან. მართალია, სამღვდელოების მხრით დანიშნულ წევრთა არ ეძლევათ ჯამაგირი, მაგრამ საზოგადოების ყურადღების და სიყვარულობის დამსახურება ხშირად დიდ ჯამაგირსაც სჯობია. ამისათვის ყველა სამღვდელოების მხრით დანიშნული წევრნი უნდა მუქთად ასრულებდნენ ამ მოვალეობას.

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ამის შემდეგ მაინც წაიკითხავს დაწვრილებით წლიურ ანგარიშებს სამღვდელოება თავიანთ სასწავლებლებზე ან სასულიერო გამოცემაში დაბეჭდილს და ან ცალკე წიგნებათ გამოცემულს და მით შეატყობინებენ სამღვდელოებას მათ სასწავლებელთა გაჭირვებას და დალხინებას.

## ეკკლესიების ნანგრევები ოსეთში.

ძოგორ მივიწყებულია არხეოლოღიური გამოკვლევა ჩვენში, ჩვენში, რომელთ სამშობლოშიაც მოიპოვება და დამარხულია მრავალი საუნჯე — სარკე ჩვენის ძველის ისტორიისა, ამაზედ ბევრი თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. რამდენადაც მივიწყებულია არხეოლოღიური გამოკვლევა ჩვენში, ამის დასამტკიცებლად საკმარისი არის შეიხედოს კაცმა ,,კავკასიის მუზეუმში", რომელშიაც ნახავთ მხოლოდ ფრინველებს და კავკასიის მთიულების გამოსახულებას; რისთვის?—მიტომ, რომ ამ საგანს ჯერ-ჯერობით ყურადღებას აქცევს ჩვენგან მხოლოდ ერთად-ერთი პირი, პატივცემული ბ. დ. ზ. ბაქრაძე. თუ მოიპოვებოდნენ და დღესაც მოიპოვებიან კიდეც ამ გვარი პირები, ესენი გახლავან არა ,,ქართველთ ერისაგან".

სხვა კავკასიის მხარეთა შორის ყველაზე უმდიდრესია ეკკლესიების ნანგრევებითა ოსეთი, რომელიც არ ჩამორჩება ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთს, თუ არ ამჯობინა მას. ეკკლესიების ნანგრევებს ოსეთში უძახიან ,,თამარ-დედოფლის" ნაშენებს და ეს აგრეც უნდა იყვეს; რადგანაც ეკკლესიების აშენება უნდა მიეწეროს მე-XII საუკუნეს. მხლანდელი ეკკლესიებიც, რომელნიც აშენებულნი არიან ,,ოსურ სასულიერო კომისიის" ანუ ,,კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების"-მიერ, გაშენებულნი არიან ისევე ,,თამარ-დედოფლის" დროის ეკკლესიების ნანგრევების ადგილას და მაშასადამე მე-XII საუკუნეში აშენებულნი ესკლესიანი ოსეთში მე-XVIII საუკუნეში წარმოადგენდნენ-ღა მხოლოდ ნანგრევებს! რა იყო მიზეზი ამ ურთიერთ ეკკლესიების დანგრევისა, როდესაც ოსეთში თამარ-დედოფლიდგან აქამომდე ქრისტიანობა არსებობდა და როდესაც ოსეთში განუწყვეტლად ჰქადაგებდნენ ქართველი მისსიონერები, — ამაზე დარწმუნებული პასუხი არ შეიძლება რომ სთქვას კაცმა. თვით ოსებთაგანი ზოგი ამბობს, რომ ეკკლესიების დანგრევა მიწის ძვრისაგან მოხდაო, მაგრამ ამ აზრს ძნელად შეიძლება რომ დავუჯეროთ. უფრო დასაჯერებელია ხალხის ის აზრი, ვითომ ეკკლესიები დაენგრიოთ ლეკებს (ანუ როგორც მე ვფიქრობ, უფრო ყაბარდოელებს, რომელთაც მე-XVII საუკუნეში ჰქონდათ ძლიერი ომი ოსებთან, რომელნიც დამარცხებულნი დარჩნენ). მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც ამ ეკკლესიების ნანგრევებში მარხია მრავალი რამ, მით უფრო, რომ, როგორც ყველა ოსები ერთხმად ამტკიცებენ, მათი მამა-პაპანი შიშიანობის დროს ინახავდნენ თავიანთ სარჩოს (ფულს, იარაღს და სხვა ძვირფასს ნივთეულობას) სალუდე ქვაბში, რომელიც იმარხებოდა ეკკლესიების გალავანში. რომ მართლა ქვაბებს მარხავდნენ მიწაში ოსები ძველ დროს, ამას ამტკიცებენ მრავალნი, რომელთაც თავის თვალით უნახავთ მიწაში ქვაბის ყურები და რომელნიც ახლა, ალბად, დაფარულნი არიან ფოთოლისაგან (ოსეთში ეკკლესიები სულ ტყიან ადგილას ყოფილან გაშენებულნი) ანუ მიწისაგან. ამ ჟამად არხეოლოღიურ ნივთებს სძებნის ჩრდილოეთ ოსეთში მარტო ერთი პირი—ბ. შანაევი და სამხრეთ—ოსეთში—არც ერთი. ეს იმის მიზეზია, რომ ოსები ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ მათ ეკკლესიების ნანგრევების (ანუ ,,ძუარების", როგორც თვითონ ოსები უწოდებენ) ახლოც არავინ გაიაროს, არამც-თუ სთხაროს სხვა-და-სხვა ნივთების საპოვნელად. ამ მიზნით ეკკლესიის ნანგრევს ოსები დაუნიშნავენ ხოლმე ,,დეკანოზსაც". ეკკლესიების ნანგრევები ოსეთში მრავალია. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამოდენსამე ძუარას, რომელნიც სამხრეთ ოსეთში იმყოფებიან: სოფ. ორტევში, ეგრედ წოდებული ,,უქეთი", ანუ ,,უჩეთ"; სოფ. მიფარეთში —,,ხასდაგ-ძუარ"; ს. ზუდისში—,,მიქელ-გაბრიელ"; ბურსამძელის მთაზე — ,,სირხი-ძუარ"; სოფ. ლიწში —,,ურს-ძუარ"; სოფ. ვანელში, ძურჯითაში და ჩიფრანში — ,,ვასჯირჯი-ძუარ" და მრავალნი სხვანი. დიდად სასურველია, რომ შესდგეს კამისია (თუნდ სოფლის მასწავლებელთაგან), რომლისთვისაც შესაძლებელი იქმნება ზაფხულში ამიოყაჭოს მიწიდგან ჩვენ მამა-პაპათ განძი, რომელიც სხივს მოჰფენს ჩვენს წარსულს...

სოფ. ორტევი. გიორგი ლიახველი.

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### X.

ისნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე დაუღალავი მშრომელი გამოჩნდა წმიდა გიორგი ათონელი, ივერიის მონასტრის არხიმანდრიტი მღვდელ-მონაზონი ქართლელი, ადგილით თრიალეთით. ამ გიორგიმ შეამსო ნაკლულევანებანი წარსულთა თვისთა მოადგილეთა *). თვისი შრომა მან გადმოიღო სამშობლო

*) გიორგი მთაწმიდელის შრომანი: 1, სჯნაქსარი დიდი, საფუძველი ეკკლესიათა; 2, ცხოვრება, გამოკრებული საწელიწადო;

ქვეყანაში და აქ მრავალნი წიგნთა-საცავნი გაამდიდრა თვისის წიგნებითა. გიორგის დროს იყვნენ კიდევ შემდეგი მთარგმნელნი: Ილარიონ, გიორგი Ოლთისელი, Ვასილი Ბაგრატის ძე, Არსენი, Ანტონი მნათე და სხ. შესანიშნავი ესე წმიდა გიორგი Ათონელი გარდაიცვალა საქართველოდამ Ათონს მიმავალი Კოსტანტინეპოლეს (ქრისტესით 1066 წ.); წმიდა გვამი მისი წაიღეს Ათონს და დასდვეს იქვე, საცა წმიდისა Ევთიმის გვამი იდო. ხსენება მისი იდღესასწაულების 27 ივნისსა. *)

Შემდგომად გიორგი მთაწმიდელისა Ივერიის მონასტრის სახელოვანნი მოწაფენი და საქართველოს სასიქადულო შვილნი იყვნენ: Იოანე პატრიკ ყოფილი, Იოანე მღვდელ-მონაზონი ფილოსოფოსი, Პეტრიწად წოდებული Ჭირჭიმელი, *) სტეფან, Ეფრემ მცირე, **) Თეოფილე, Არსენი Იყალთოელი სხოლასტიკოსი, ***) Იოანე Ტარიჭის ძე და მრ. სხვანი.

Უნდა აღვიაროთ ის ფაქტი, რომელ Ივერიის მონასტრის დაარსებიდამ საქართველოს ეკკლესია სრულიად განმტკიცდა სჯულსა ზედა მაცხოვრისა ჩვენისასა. ხალხში გავრცელებულმა საეკკლესიო და საერო ლიტერატურამ ძრიელად კვალი გაინასკვა ჩვენ ქვეყანაში და ეს იყო მიზეზი, რომ შემდეგ საუკუნოებში საშინელმა ქრისტეს მტრებმა ვერა ღონის ძიებით ჩვენ ქვეყანაში ვერ დაამყარეს მაჰმადიანობა.

Ძელა-ბოძებად Ქრისტეს სჯულისა ჩვენ ქვეყანაში, Ივერიის და Იერუსალიმის მონასტრებს გარდა, შეიქმნენ შემდეგნი დიდებულნი ტაძარნი: ხახულის

---

3, პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთა; 4, პავლე გამოკრებული საწელიწადო; 5, თთვენი ათორმეტნივე, სრულიად ღვთივ ბრწყინვალედ; 6, სტიქარნი საწელიწადონი,.. 7, სტიქარნი თვით ავაჯნი... 8, წიგნი ექვსთა დღეთა წმ. ვასილის თქმული; 9, წიგნი ეპისტოლენი წმ. ეგნატე ღმერთ-შემოსილისანი; 10, წიგნი საფსალმუნე დავითი, სამკაული და გვირგვინი ყოველთა წიგნთა; 11, დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკკლესიათა, სხვითა მრავლითა კეთილითა აღსავსე; 12, დიდი მარხვანი; 13, ზატიკი მრავალ ფერითა კეთილითა აღსავსე; 14, წიგნი თეოდორე სტოდელისა, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი; 15, წიგნი დაბადებისა, თარგმანი წმიდა იოანე ოქროპირის თქმული; 16, წიგნი მეექვსის კრებისა: 17, ეპისტოლენი წმ. კირილესნი და სხ. წმ. მამათა განკვეთისათვის ნესტორ უსჯულოისა; 18, წიგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა მშვენება და ქება ზესთა არს ყოვლისა მოთხრობისა.

აქვე დაუმატებთ, რომ თუმცა ახალი აღთქმა თარგმნილ იყო მე V საუკუნეში დავით და სტეფანოზის მიერ იერუსალიმში და შემდეგ დედოფალ რუსუდანისთვის სხვაი მცხეთას, მაგრამ მაინც წმ. გიორგიმ ხელ-ახლა შეამოწმა და ხელ-ახლა სთარგმნა სახარება და სამოციქულო, რადგან ეს წიგნები მწვალებლობის ზედ გავლენით ამ დროს სამსენი იყვნენ შეცდომილებით.

აქვე მოვიყვანთ ანდერძსა წმ. გიორგისასა, რომელიცა სწერია ხელ-ნაწერსა სახარებასა გაენათის ტაძრისასა; ეს სახარება თვით წმიდა გიორგისაგან ნაწერია; ანდერძი:

,,ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ წმიდა ესე ოთხთავი ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა და ბერძნულთა სახარებათა და შეგვიმოწმებია ფრიადითა გამოწვალვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეთ დაწერა ღვთისათვის სიტყვათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქ ჰსწერია ეგრე დაჰსწერეთ და თუ რაჲმე გშვენდეს ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად ხონ-მეტნიცა და საბა წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღჳთისთვის ერთმან-ერთსა ნუ გაჰრევთ, ხოლო გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან ვსთარგმნე, ლოცვა ჰყავთ''.

*) ოქრო ქანდაკი, სპეკალი მოიჭვილი,
ეპისკოპოსთა დიდება, მღვდელთ პატივი
ამათ მფლობელთად, მახჳლ ორპირ მკვეთელი,
გიორგი წიგნთა თარგმანი იმთაწმიდების,
მიწას მიწას ჰმართავს, სულსა ასასუფეველებს.

ნიკოლოოზ ტფილელი.

*) ამისაგან სხვათა შორის დაგვრჩა სვინაქსარი, რომელშიაც არის გალექსილნი ისტორიანი: ღვთის-მშობლის შობისათვის, ქრისტეს შობისათვის და სხ. აგრეთვე ამანვე გალექსა იამბიკო წმ. მამის იოანნე სინნელის კლემექსისა, რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი მშვენიერი ტაეპი:

ძვირის-ზრახვა არს წვლილი სნეულებანი,
იდუმალ შესრული, სიზრქემდის დაფარული,
სიყვარულისა სისხლის მწოვი წურბელი
ორგულებაი გულისა სიხენეშე,
უზიწოების ყოვლად ჯჩინო მყოფი.

**) ამან სთარგმნა ბერძნულიდამ: 1, წიგნი დიონოსი არიოპაგელისა ,,ზეცისა იერარხიისათვის;'' 2, ამმონიოსის წიგნი; 3, მოქცევა საქართველოისა და 4, ქადაგება წმ. მოც. თომასი.

***) ამან კახელმან ზედ-მიწევნით იცოდა არაბული, ასირიული და ბერძნული ენანი და იყო დიდად განათლებული კაცი, ფილოსოფოსი; იყო მოძღვრად მეფის დავითისა. კახეთში იყალთოს ჰქონდა სასწავლებელი და ასწავლიდა: ფილოსოფიასა, ღვთის-მეტყველებასა, ენათა და ,,სხვათა აზნაურთა სასწავლებელთა.'' შემდგომად აღსრულებისა ქათოლიკოზისა იოანესა იქმნა ქათოლიკოზად. ჰმარხია იყალთოშივე. არსენმა აღწერა: 1, ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა მცხეთის ქალაქსა განკარგულებითა დავ. აღმაშენებელისა; 2, მოთხრობა მიზეზთა, რომელთა გამო განსდგნენ სომეხნი მართლ-მადიდებლობისა სარწმუნოებისაგან და 3, გადმოსთარგმნა ,,ოქროს ნექტარი'' წმ. იოანე დამასკელისა.

ღვთის-მშობლისა, *) ბედიისა, **) საფარისა, ***) ქუთაისისა, გენათისა, წამებულის მსტატესი, დავითის და კონსტანტინესი, მეფე არჩილისა, წამებულისა გობრონისა, ****) სასწაულთ-მოქმედის ილარიონისა და სხ. უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ყველა ამ მონასტრებთან და სობოროებთან იყო გამართული სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ყოველ გვარ მაშინდელ დროის მეცნიერებათა, სამღვთო წერილსა, ღვთის-მეტყველებასა, ბერძნულსა და ასირიულსა ენათა და სხ. მასწავლებელნი ამ მონასტრებისათვის ბევრნი მოდიოდნენ ივერიის მონასტრიდამ, სადაც მოღვაწეობდა 500 მეტი ქართველი, აგრეთვე იერუსალიმის მონასტრებიდამ და ზოგიერთ საქართველოს განთქმულ მქადაგებელთა სკოლებიდამ (იგულისხმეთ სკოლა არსენი იყალთოელისა და სხ.); მოზარდ თაობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ თავისუფალთა ჰაზრთა და მსჯელობათა შესანიშნავთა ბერძენთა ფილოსოფოსებისას: პლატონის, არისტოტელის, პორფირის, დამასკონის და სხ. თხზულებების თარგმანთა.

მოსე ჯანაშვილი.

---

*) თორთომის ხევზედ, ,,მაფაქლუს მთის კალთას არს ეკკლესია მონასტერი ხახულისა ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილს; ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან... აწ უქმ, ცალიერ არიან და ხატი მისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან,, (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 124). ეს ეკკლესია ეხლაც არსებობს და აქვს წარწერანი. აქ ბერად შესდგა გამოჩენილი გიორგი მთაწმიდელი.

**) ,,აქავ ბედიასა აღაშენა მე 54 მეფემან ბაგრატ ეკკლესია დიდი, დიდ-შვენიერ-გუნბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად; დასვა ეპისკოპოსი ოდიშისა" (გეოგ. ვახ. გვ. 400)

***) ,,ცუნქის ხევზედ (საათაბაგოში) არს საფარას მონასტერი, შვენიერად დიდ-შენი, გუნბათიანი, ყოვლად წმიდისა. ესე იყო შემკული ყოველთა საეკკლესიოსა და წმ. ნაწილებითა და დაეფლნენ ათაბაგნი და აწ არს ხუცის ამარ" (გეოგრ. ვახ. გვ. 90). გარეშემო მონასტრისა ეხლა სცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველები და მხოლოდ შიგა და შიგ ქრისტიანენი და ჰყავთ საფარას მღვდელი.

****) გობრონი (მიხეილი) წამებულ იქმნა 920 წელს, 17 ნოემბერს. მასთანავე აწამეს 133 მხედარნი ქართველნი. ესენი და ამათთან სხვა ქართველნი აბულ-კასიმმა 28 დღის ბრძოლის შემდეგ შეიპყრო ციხე ყველში (სამცხეშია), ესენი აწამა და მთელი საქართველო გაოხრა.

## ქართული ინდიქტიონი და ქორონიკონი. *)

ხშირად ვკითხულობთ წერილებში ინდიქტიონს და ქორონიკონს. ინდიქტიონის და ქორონიკონის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა ცნობებია შეკრებილი, მაგრამ ეს ცნობები სრულიად არ ეთანხმებიან ნამდვილს ჭეშმარიტებას. ჩვენ მოვიყვანთ აქ სხვა-და-სხვა ჭეშმარიტ და გამორკვეულ მოსაზრებათაგან ზოგიერთ ცნობებს: ქართველები ქვეყნის შექმნიდგან იესოს ქვეყნად მოსვლამდის რაცხდნენ 5604 წელსა (ხუთი ათას ექვსას ოთხსა), ოთხმოცდა თექვსმეტს წელს უმატებდნენ ბერძნების 5508 წელს (ხუთი ათას ხუთას რვა წ.), რომელიც საზოგადო ანგარიშით ქრისტეს დაბადებამდის გასულა. ქართველები დააკვირდნენ თავიანთ ცხოვრებაში მომხდარს ცვლილებაებს; დღესასწაულთა მიმომსვლელობას, მზისა და მთვარის მიმოქცევას და აგრეთვე სხვა-და-სხვა ბუნების მოვლინებაებს და მივიდნენ იმ დასკვნამდის, რომ 532 წლის (ხუთას ოცდა თორმეტი წლის) განმავლობაში ყოველივე ცვლილებანი განსხვავდებიან ერთმანეთიდგან ყოველს წელში, ხოლო ერთი 532 წლის მიმდინარეობა ეთანხმება მეორე 532 წლისას. რანაირი ცვლილებანიც ხდებიან ერთს 532 წელში ისეთივე ცვლილებანი არიან მეორე 532 წელში კაცმა რომ შეადგინოს 532 წელზედ კალენდარი, ის იქმნება საუკუნო. ამისათვის ქართველებმა ყოველს 532 წლის მიმდინარეობას უწოდეს ინდიქტიონი, რომელიც არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს — მიმოქცევას. თითეული წელი ინდიქტიონისა იწოდება ქორონიკონად. ეხლა ვიანგარიშოთ რამდენი ინდიქტიონი გასულა ჩვენამდის და მერამდენე ქორონიკონში ვართ ეხლა? რომ უფრო ადვილად ვიანგარიშოთ ეს, ინდიქტიონით ანგარიში უნდა ვიცოდეთ, თუ ქრისტეს შემდეგ როდის გათავდა რომელიმე ინდიქტიონი. ქრისტეს შემდეგ 248 (ორას ორმოცდა რვა) წელს გათავდა თერთმეტი ინდიქტიონი, ამის დასამტკიცებლად ავიღოთ ხუთას ოცდა თორმეტი თერთმეტზედ (532×11=5852) იქნება ხუთი ათას რვაას ორმოცდა თორმეტი. ამ რიცხვს უნდა გამოვაკლოთ ხუთი ათას ექვსას ოთხი და (5852—5604=248) დარჩება ორას ორმოცდა რვა. ეს წელი არის ქრისტეს შემდეგ, როდესაც გათავდა

---

*) არის კიდევ ბერძნული ინდიქტიონი, რომელიც არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რადგანაც ჩვენი ინდიქტიონი სულ სხვანაირია.

ავტორი.

თერთმეტი ინდიქტიონი, მაშინ ჩვენ ორას ორმოცდა რვა წელს უნდა მივუმატოთ სრულად ხუთას ოცდა თორმეტი, (248+532=780) იქნება შვიდას ოთხმოცი, მაშ ამ წელში გათავებულა თორმეტი ინდიქტიონი ცამეტი გათავებულა (780+532=1312) ათას სამას თორმეტსა წელსა. თოთხმეტი გათავებულა ამ საუკუნეში ათას რვაას ორმოცდა ოთხსა (1312×532=1844) ეხლა ვართ მეთუთხმეტე ინდიქტიონის ორმეოცს ქორონიკონში. ესე იგი 1844 წლიდგან 1884 წლამდის თუთხმეტი ინდიკტიონის არის მეორმოცე ქორონიკონი, შემდეგ წელს ორმოცდა მეერთე ქორონიკონი და სხვა. რომ გვინდოდეს გაგება, რომელს წელს წარსული ინდიკტიონისას ეთანხმება აწ მდგომარე წელიწადი, მაშინ უნდა ვიცოდეთ, როდის გათავდა ცამეტი ინდიქტიონი და იმ რიცხვს უნდა მივუმატოთ ორმოცი (1312+40=1352). ეს აწ მდგომარე 1884 წელი ეთანხმება წარსული თოთხმეტი ინდიქტიონის ათას სამას ორმოცდა თორმეტს წელს. მართლაც ამ წლის კალენდარი რომ იყოს, წრეუნდელს წელს შეეთანხმება. ეხლა რომ (ბიბლია) დაბადება გამოვიდა, იმაზედ აწერია: დაიბეჭდა წიგნი ესე „ათას რვაას ოთხმოცდა ოთხსა წელსა, ქართულსა ქორონიკონსა ორმეოცსა“. თუ გინდ ათას რვას ოთხმოცდა ოთხი რომ არ ეწეროს ჩვენ მაინც მივხდებით, როდის დაიბეჭდა ეს წიგნი, თუმცა ვიცით, როდის გათავდა თოთხმეტი ინდიქტიონი. ერთს ეკკლესიაზედ აწერია: „აღშენდა ეკკლესია ესე ინდიქტიონსა ცამეტსა ქორონიკონსა ოთხას ოთხმეოცსა. ცამეტს ინდიქტიონს, ესე იგი 1312 წელს უნდა მივუმატოთ ოთხას ოთხმოცი (1312+480=1792) და გავიგებთ როდის აღშენებულა ეს ეკკლესია. იგი აღშენებულა ათას შვიდას ოთხმოცდა თორმეტში, ესე იგი წარსულს საუკუნეში ირაკლი მეორის მეფობის დროს. ამისთვის ვალ-დებულნი ვართ, რომ არ დავივიწყოთ ჩვენის წინაპრების მოსაზრება, რომელიც გვიმტკიცებს, რომ მათი ცხოვრება უმნიშვნელობაში და უმეცრებაში არ მიმდინარეობდა, არამედ იგინი აკვირდებოდნენ თავიანთ ცხოვრებას და ბრძნულად შთაიჭვრეტდნენ დროების ცვლილებაებში, რომლის წყალობითაც მათ შეუდგენიათ ინდიქტიონით ანგარიში.

ილ. ფერაძე.

---

## საისტორიო მასალები.

(შემდეგი) *)

### დანიელ მღვდელ-მონაზონი.

განდეგილი დანიელ მღვდელ-მონაზონი (გვარათ მაღლაფერიძე) სხვა განდეგილებს არ ჰგვანებია ცხოვრებით. მას ამ საგანზე იმ გვარი შეხედულება ჰქონია, რომ ცარიელი განდეგილობა, წუთისოფლის ცხოვრებისგან განრიდება და ღვთის ვედრება იმდენს ღვაწლს ვერ შეადგენს, რამდენსაც მათთან შეერთებული ქველმოქმედება მოყვასთა საკეთილ-დღეოდ. ამიტომაც დანიელი კვირაში მხოლოდ ერთ დღეს და ღამეს განდგებოდა ხოლმე „მამა წმიდის“ მღვიმეში და მიეცემოდა მხურვალე ლოცვას და გონებით მჭვრეტელობას უზენაესის არსებისას. დანარჩენ დროს კი ცხოვრებდა სოფლად, ზარათის ეკკლესიის გალავანს შიგნით.

როგორც შეხედულობით, აგრეთვე ცხოვრებით დანიელი ბევრით თურმე მოაგონებდა კაცსს იოანნე ნათლის-მცემელს. ის ყოფილა მაღალის და ბარგეტანის კაცი, რკინის ფერი და ჭახმაგი, შავი და გრძელი თმა ბეჭებზედ ეყარა, გრუზა და გრძელი წვერი გულ-მკერდზე ჩამოჰფენოდა, მზრუნველი და მჭმუნვარე სახის შეხედულება ჰქონდა; მუდამ ფეხშიშველი იარებოდა, ეცვა სამონაზნო ხამის ჩოხანი და ზედ ერტყა ხამი ღვედი. ცხოვრება ჰყვარებია განდეგილისა. მას თუ არ ჰსურდა და თავათ არ გამოვიდოდა, მისის ბნელი სენაკის კარს ვერ ვინ შეაღებდა. აღმოსავლეთის კედელში ჰქონდა ერთი პაწაწა სარკმელა, საიდამაც მას ხანდის ხან მიაწოდებდენ ხოლმე მჭადს, ან ერთ ნაგება ლომს, რომელსაც დაადებდა სირსვალ ლობიან ჯამზე, რაც აჰყვებოდა, აიღებდა და დანარჩენს უკანვე გააბრუნებინებდა. მუცლის მოყშობა მისი საკვირველი ყოფილა. ხან-და-ხან მთელი კვირაობით არ სჭამდა თურმე; წელიწადში ორმოცი დღე ერთბაშად „მამა წმიდის“ მღვიმეში უნდა ემარხულნა და იქ ტყის ხილის მეტს რას იშოვიდა.

როგორც იოანნე ნათლის-მცემელი, დანიელიც თავის რიგზედ ასწავლიდა ერს. ხშირად ჰქადაგებდა წირვის შემდეგ ზარათის ეკკლესიაში. ეს კიდევ არაფერი, საყდრის გალავან შიგნით მას ჰქონია გამართული დიდი „სასწავლო“ ანუ სკოლა, სადაც ოთხმოცზე ნაკლები რიცხვით მას მოსწავლე არაოდეს ჰყოლია. სკოლა, რა თქმა უნდა, ვერ შეედ-

*) იხილე „მწყემსის“ № 12.

რებოდა განთქმულს იყალთოს და ორიოდ სხვა მონასტრების სკოლებსა, სადაც ასწავლიდენ ყოველ გვარს მაშინდელს მეცნიერებას და ენებსა. მაგრამ დანიელის სკოლას ჰქონდა სხვა ზედ მიწევნითი ხასიათი. აქ ამზადებდენ მხოლოდ სამღვდელო პირებს, საეკკლესიო მქადაგებლებს, მგალობლებს და მედავითნეებს. ძნელად თუ იპოვიდი მაშინ იმერეთში ახალგაზდა მღვდელს, რომ დანიელის ნამოწაფარი არ ყოფილიყო. გელათელი და ქუთათელი მიტროპოლიტები დანიელის სკოლაში გაწვრთნილს გამოცდაში აღარ აგდებდენ, პირ-და-პირ აკურთხევდენ. თუ სხვაგან იყო დამზადილი და აკლდა რამ სწავლა, შესასრულებლად კიდევ დანიელის „სასწავლოში" გაგზავნიდენ ხოლმე.

**ს**ხვა სამოწყალო საქმეებსაც ხელს არ აკლებდა დანიელი. ზამთარში თუ ქვრივს-ობლის რომელსამე ოჯახს ან მელოგინე დედაკაცს ანუ მისს ახლო-მახლო მეზობელთაგანს შეშა აკლდა, დანიელი თავისის ხელით მიუტანდა მათ შეშას.

**დ**ანიელი იყო დედოფლის მარიამის (დადიანის ასულის, სოლომონ მეორის მეუღლის) სულიერი მოძღვარი, თუ ვისმე დიდი შესათხოვარი რამ ჰქონდა ამ ღვთისნიერ დედოფალთან, იგი დანიელს მიმართავდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დანიელის სიტყვას დედოფალი არ გააწბილებდა. (ჩვენ ხელთა გვაქვს რამდენიმე დანიელის შუამდგომლობით დედოფლის და მეფისგან ბოძებული სხვა-და-სხვა პირთადმი წყალობის ბარათები, მაგრამ მათ აღბეჭდვას უმნიშვნელოთ ვრაცხთ). ამ ორის გარემოების გამო დანიელს წელიწადში რამოდენჯერმე მოუხდებოდა ხოლმე ქუთაისის მორება. მაგრამ ხელ ცარიელი არაოდეს წავიდოდა. ფეხ-შიშველა დანიელი აიკიდებდა ხილეულობით, ბოსტნეულობით და მაგისთანეებით სავსეს ხურჯინს მხარზე, მოიტანდა ქუთაისს და დაურიგებდა ხოლმე ქუჩაზე მოსიარულეებს. ბევრი იცნობდა დანიელს ქუთაისშიაც და, რომ არ ნდომოდა, მაინც მოწიწებით მიიღებდა „წმიდა კაცის" ნაბოძებს. მერე დანიელი შევიდოდა სასახლეში. მეფე და დედოფალი კრძალვით გაეგებებოდენ და პატივდებით მიიღებდენ ხოლმე. იქ საქმეს მორჩებოდა და შინისკენ დაბრუნდებოდა, მაგრამ ცარიელი კი არა. აქედამ მარილს წაიღებდა და სოფელში უღარიბეს ოჯახებს დაურიგებდა. ბოლოს დაბრუნდებოდა თავისს სენაკში. მისის სხვაგან ყოფილების დროს სკოლის საქმე მასთან ხანდაზმულს მოწაფეებზე იყო მინდობილი.

**ს**იცოცხლეშივე წმიდანობის ხმა ჰქონდა დავარდნილი დანიელს. თვით მეფე ამ უბრალო ბერს ასე პატივდებით იხსენიებს: „მათი მაღალი ღირსება წმიდა და წარჩინებული მამა მღვდელ-მონაზონი დანიელ მოიწია წინაშე..." (იხილე „მწყემსი" № 12). ხალხიც აგრეთვე მოწიწებით უყურებდა მას. დანიელს ჰყოლია კიდევ ერთი სულიერი მოწაფე წყალს გაღმა, ს. ოფურჩხეთს, გვარად ავალიანი, დარბაზის ერთაგანი. ეს კაცი უეცრად სასიკვდინედ ავად გამხდარიყო. ბასძახეს წყლის ნაპირიდამ გაღმა დანიელს: შენი მოწაფე კვდება, ცოცხალს მოუსწარიო. გაცურვა შეუძლებელი იყო და არც ნავი მუშაობდა, ლანქერი იყო; ქუთაისით მორება გვიან იქმნებოდა. დამძახებელი კაცი რომ შინ მივიდა, არ გასულა რამდენიმე წამი და დანიელიც თავისს საყვარელ მოწაფეს ფეხთით უჯდა და აღსარებას ათქმევინებდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დანიელი წყალში სასწაულით გამოვიდაო, თორემ ქუთაისით მორება ასე ჩქარა არ შეიძლებოდაო. არც არავის უკვირდა ეს დანიელისგან. რადგან მას ყველანი წმიდანად რაცხდენ.

**დ**ანიელის გვამი დასაფლავებულია ზარათის საყდრის გალავანს შიგნით იმ სენაკის გვერდით, სადაც ის ცხოვრებდა. ერთს თუ ორს წლის უკან შემდეგ მისის სიკვდილისა გაენათელი მიტროპოლიტი მობრძანებულა აქ და განუძრახავს დანიელის საფლავის გახსნა: „გვამი მისი უხრწნელი იქმნებაო და ნაწილებად ვიხმართო." ხალხი არას გზით არ დათანხმებულა ამაზე: „ნაწილებს სხვაგან წაიღებენო და ჩვენს ეკკლესიის შემავალთა მფარველ-მცველი მოაკლდებაო". დღეს ნამდვილად არც კი ვისმე ახსოვს, რომელ ალაგას მარხია ეს წმიდა ბერი.

**დ**ანიელის სიცოცხლეში მისი „მოსახლკარე" ყოფილა დეკანოზის იოანეს ოჯახობა და რომ ამისთვის დანიელის ნათესავებს რამე დავა არ აეტეხნათ, —მას, დანიელს, დაუტოვებია შემდეგი ანდერძი:

„**ჩ**ათს ყოვლად სამღვდელოებას უფალს გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმეს და ყოველთა სამღვდელოთა და საეროთა,—ყოველთა ერთობით მოგახსენებთ მე უღირსი მღვდელ-მონაზონი დანიილ (მაღლაფერიძე): ჩემი უღირსება ზარათის საყდარზედ იმყოფებოდა და ზარათის ეკკლესიის დეკანოზი მღვდელი იოანე ძოწენიძე და მის სახლშიდ მყოფელი იყო ჩემი მოსახლკარე.—ხან მისი სასმელ-საჭმელით, ხან ჩემი მიტანილი სასმელ-საჭმელით მისის ოჯახით ვიზრდებოდი და ვცხოვრობდი.—და ჩემს მიცვალებას უკან ევების ვინმემ შურით ცილი ჰსწამოს იოანნე

დეკანოზს, მის შვილებს და მის სახლშიდ მყოფელს: Ⴃანიელის დატოვებული და მოცემული დაგრჩათ რამეო. — ყოველ სამღვდელოსა და საეროსთვის ფიცით მომიხსენებია: საწირავად თუ რამე მიმიცია, ანუ ჩემი საჭმელ.სასმელის ფასად, თორემ სხვა, არც თეთრი, არც საქონელი, არც ადგილი და მამული, არც ადგილ-მამულის ფასი, თვინიერ საწირავისა და სალოცავისა მეტი Ⴈოანნე დეკანოზისა და მის სახლშიდ მყოფლისთვის არ მიმეცეს. Ⴃა უკეთუ ვინმე შურით ცილი ჰსწამოსთ და ჩემის მიზეზით შეაწუხოს, სამართლის თხოვა დაუწყოს—წმიდის სამებისაგან, ათორმეტ მოციქულისაგან და ოთხის პატრიარქისგან შეჩვენებული და დაწყევლილი იყოს. Ⴀრის ამისი მოწამე მოურავი ბერი მესხი და ერთობით Ⴆარათელნი სამღვდელონი. მეფის კარის მღვდელს Ⴂრიგორაშვილს Ⴈესეს დამიწერია ჩემის მოძღვრის Ⴃანიელის ბრძანებით და მოწამეცა ვარ ამისი. Ⴀღიწერა Ⴕრისტეს აქეთ ჩღქვ წელსა, ივნისის გ-ს.“

„Ⴕ. მე ბაენათელი მიტროპოლიტი მეთვიმი ვამტკიცებ ამ ღირსის მამის მღვდელ-მონაზონის Ⴃანიელის წიგნს. ვინც ეს წიგნი გასტეხოს და ამ წერილის შლად ხელ-ჰყოს და იკადროს წინააღმდეგობა — წმიდის სამებისგან შეჩვენებული იყოს და ჩვენგან და ჩვენის დიდებულის ეკკლესიის მადლისგან გაწყრომილი იყოს საუკუნოდ სულით და ხორცით. (ბეჭედი): ბაენათელი მიტროპოლიტი მეთვიმი.“

Ⴀმ ანდერძის დამწერს Ⴈესე Ⴂრიგორაშვილს დიდი სათევარი ჰსჭერია მაშინდელ სამეფო და საპოლიტიკო საქმეებში. Ⴈგი მოსწრებია სამს იმერეთის მეფეს: სოლომონ დიდს I-ს, რომელიც გადაიცვალა ჩღპდ (1784) წელს, აპრილის კგ-ს. მას შემდეგ გამეფდა Ⴃავით, რომლის მეფობა მოისპო ჩღპთ (1789) წელსა. მას შემდეგ დიდის დავიდარაბით მეფობა არგუნეს სოლომონ „მცირეს“ II-ს, Ⴀრჩილის ძეს. Ⴀმის მეფობა მოისპო ჩყი (1810) წელსა, თებერვლის ცხრას, როცა დამკვიდრდა რუსთ მთავრობა დასავლეთის საქართველოშიაც. Ⴀმისთვის საჭიროდ ვრაცხთ, რავდენადაც ძალგვიძს, დაწვლილებით მოვილაპარაკოთ შემდეგში Ⴈესე წინამძღვრის ცხოვრებაზე.

X—X.

## ႠႰႾႤႭႪႭႢႨႳႰႨ ႺႭႬႭႡႤႡႨ

ფინიკელებზედ.

### II

Ⴂარდა ვაჭრობისა, რომელ სოფელ დაბებშიც ჩამდგარნი იყვნენ, იძენდნენ ვაკე მინდორ ჭალებსა; რომელთაც—ჩვენი ქვეყნის ხევ-ღელობის მიხედვით, სიგანისაგან სიგრძე უფრო მეტი ჰქონდათ; ამ გვარ მათ შეძენილთა საკუთრებათა ეწოდათ ტრამალი. მისებრ ადგილთა ჰკრებდნენ ღობითა და ღობის შუა ნწკვრივად მორგული ჰქონდათ ძეწნი, რომელთაც ეწოდათ ტირიფნი და მოკრულ სავარდე, საბოსტნეთა მტილი; სადაც უდგათ იშვიათი ხეხილთ და ვარდ-ყვავილთ სურნელოვანი ხევანნი, მხალნი, მწვანილეულობა, მათ შუა ხშირად საფუტკრე ქოხები, სავსე ნაირ ნაირის სკებითა და როგოებითა. სთესდნენ ბამბასა, მიხაკსა, ზოგანაც ჰქონდათ გარდაჭიმული ვენახები, ნამყენეული ხეხილობა. Ⴄკავათ აგრეთვე მეცხვარეები ოცობით, ორმოცობით და ასობით: აშენებდნენ კარგ მატყლ ბალნოსან თხა ცხვართა, როგორც არიან ქირმანისა, ენგურისა და მისებრთა. *)

Ⴋათმა ამ გვარმა ვაჭრულმან სარგებლობამ ბევრით წინ წაიყვანა ჩვენი ტომობა. მათგან ისწავლეს ციხე სიმაგრების მოხერხებულ ხევ-ღელეების ყელებში დადგმა, ქვებითა და კლდე კართა გამოკაფვა კვეთა, მიწაში სახიზრების და გვირაბ დარნების გაღება. მთებიდგან და ღადა-ღუდიან ღრმა ხევ-ღელეებითგან რუ-სხმულების გამოყვანა. ხევის ბერების განწესება, მათგან წალებულ მოტანილ ბაჟების ასაღებლად; ქვეყნის მმართველად მამა-სახლისების შემოღება საზოგადო სამმართველოდ (რესპუბლიკურად), მოსამართლენი მოხუცებულთაგან, რომელნიც წლითგან წლიწადზედ ბჭობის-ხევს თავს მოიყრიდნენ მოსალაპარაკებლად, შინაგან მართვისათვის და გარე მოდგომილ მტერთ წინ დასადგომლად! ამ გვარ ტრიელთ შინაგან და გარეგან განწყობილებასა სწერს: „მოხუცებულნი წიგნთანი და ბრძენნი მათნი, რომელნი იყვნეს შენ შორის, იგინი განაძლიერებდეს განზრახვასა შენსა“... **)

Ⴙვენი ხეობის ღვირი დაბა, მდებარე ჭობის-ხევთან, იყო ტრიელ ხე-ტყის ხელოსანთ სადგომად; მათ შემოიღეს ჩვენში პირველად ტივი, რომელსაც

*) მეცხვარეთ მოთავედ იყვნენ დადგენილი იებუსელნი, მით საცხვარე ფარეხს ეწოდა ბოსელი, რომელიც შემდგომ ძროხა ხარების სადგომთ შესთვისდა!

**) იქვე ეზეკიელ. კზ. 9.

სახელზედ სდევს მათი კვლის ბეჭედი. მით კარგ საფიცრე ძელებს, ან ფიცრულ სახლის საძირკვლის ძელ-ფიცართ ეწოდა დვირე, აგრეთვე მისთანა სწორე მეტად მსხვილ ძელთა, სითგანაც ითლება სანავო გობები, ფეხიანი ფეშხუმები, ქარსანგები, ცომის საზელად, ტაბაკები, თეფშები, პინა, ჯამები და მისთანანი. მით ყოველ-გვარი სამოსახლო ხის ჭურჭლეულება გამოდიოდა დვირითგან; როგორც სანავე გობი, ვარცლი, ბურეჯი, (ქარსანგი), ხელ-გობი ცომისა თუ სარეცხისა, საწნახელები, ავაზნები, დიდროანი ფეშხუმები, ტაბაკები, დიდროანი როდინები, მოდები (ჩანადები) და მისთანა: საწყლე ჭურჭლები. კოკა, ხელ-კოკა, ყარყარა და კუტალი, აგრეთვე კასრი, კოლოფი, ყუთეულობა, ხვიმრი (კოდი), რუბი, კოში და სხვაც. ასრევეა ბარგის წოდებაცა ტვირთი!

ჩვენს წლიურ თვეებშიაც დაშთენილა მათი კვალი: თუ როგორ საზოგადოდ თვითეულ თვეთ მნიშვნელ მოქმედებაზედ გაწყობილია ჩვენი თვეების სახელ-წოდება, რომელიც ჩვენს ბუნებით პოლიტიკურს ღირსებას მეტად ამაღლებს, თქმა არის, რომ ჩვენი წინაპარნი არ ყოფილან ველურ ხალხების ნაირად გაგარეევბულნი, არამედ უფრო მრავალთაგან მოშინაურებულნი, რომაულის განწყობილებით. რომ შევხედოთ, იანვარს ეტყოდნენ ჩვენი წინაპარნი აპანსა, რომელიც ნიშნამს მომავალს დროსა, როგორც აბა მომავალის მოლოდებასა! თებერვალს ეტყოდნენ სარწყუნისსა, რომ საზოგადოდ ჩვენს ტყიან თბილ ალაგებში თოვლ-ქლაპი იცის და ხენარნერგ თესულობას მომრწყველად ეთვლება ის თვე; როგორც ძველებურს ჩვენს ანდაზაშიც გამოყვანილია: ,,თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო!‘‘ მარტს ეტყოდნენ მირკანს, რომელიც გვიმტკიცებს ხეხილ ნარნერგთა მირგვა-მორგვის დროსა! აპრილს ეტყოდნენ იგრიკას, რომ იმ თვეში იგრეხს ყოველი ხე ნერგეულობა ფესვ-ტოტ-ჯეჯილსა საზრდელად! მაისს ეტყოდნენ ვარდობას, თუ ვარდყვავილობას! ივნისს ეტყოდნენ თიბათვეს! ივლისსა ეტყოდნენ მკათა თთვეს! აგვისტოს ეტყოდნენ კალოობის თთვეს, თუ ქველოობისას! სეკტემბერს ენკენის თთვესა! ოკტებერს ღვინობის თთვესა! ნოებერს ეტყოდნენ ტირისკონსა: რადგან ჩვენს ქვეყანას მყოფნი ტრიელთ ვაჭარნი, მაშინ ამზადებდნენ თავიანთ ტვირთებსა; ჰკრემდნენ, ჰკონემდნენ წასაღებად ზამთრისთვის! დეკემბერსაც ეძახდნენ ტირისდენასა, რომ მაშინ გალაგდებოდნენ ჩვენის ქვეყნისგან ყოველი მათი მგზავრ ქარვნები თუ ზღვისა და თუ ხმელეთისა!

ვინმე მესხი.

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ორიოდე სტატია შესახებ ქართული გალობისა, რომელნიც, სხვათა შორის, შეეხებოდნენ მის ყოვლად უსამღვდელოესობას ალექსანდრე ეპისკოპოსს. ჩვენ ახლა ნამდვილად გავიგეთ, რომ გალობის აღმადგინებელი კომიტეტი სრულებით არ მოსპობილა. მამა არხიმანდრიტს მაკარის ამ კომიტეტის თავსმჯდომარეთ ყოფნა აღარ უსურვებია, მაგრამ ეს კომიტეტი დეკანოზის ელიევის თავსმჯდომარეობით დღესაც არსებობს. ეს კომიტეტი დღეის შემდეგ მარტო კარბელოვის საეკკლესიო გალობის კილოს აღდგინებას ეცდება. იმერეთში სხვა კომიტეტი იქმნება დაარსებული გურული კილოს საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადასაღებლად. კარბელოვის კილოს გალობის ნოტებზე გადაღება უთავებია ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს. კარგი დაგვემართოსთ, კარგი საქმე ეს იყოს და ღმერთმა მისცეს ძალა და სიმხნე ამისთანა პატიოსანი საქმის მოთავეს; მაგრამ ვაი თუ ერთმა კაცმა ვერ დასძლიოს და ამისთანა დიდი საქმე დაშთეს, როგორც დღემდის ყოფილა აღუსრულებელი. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა ქართულ ენის მტრად და გალობის წინააღმდეგად, მაგრამ შეიძლება კაცი გულკეთილობით მოქმედებდეს და საქმე კი სასარგებლოდ არ წავიდეს. ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ რადგან პატივცემულმა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ითავა ეს საქმე, თავსაც მოაბამს. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ძლიერ სწყენია ორიოდე წერილის დაბეჭდვა ,,მწყემს‘‘-ში ქართული გალობის შესახებ, მაგრამ იმედი არის, როგორც ქართველი ეპისკოპოსი ქართველი კაცისაგან დაწერილს საწყენად არ მიიღებს და ქართული გაზეთების საქმის დაბრკოლებას არ ინებებს.

---

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

,,მწყემსი‘‘-ს მე-16 №-ში სურამიდამ ,,გამვლელის‘‘ გამოგზავნილი სტატიის საპასუხოდ მართლმადიდებელის ეკკლესიის მღვდლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი პასუხი დასაბეჭდათ:

,,ვიღაცა გამვლელი სურამიდამ, სხვათა შორის, ,,მწყემსი‘‘-ს მე-16 №-ში სწერს, რომ მართლ-მადიდებელ ქართველთა ეკკლესია სურამში პატარა და უშნოა, კედლები და ყველაფერი ეკკლესიაში მტვრით დაფარულია; ეკკლესიის ეზოში არც სკოლის და არც სხვა რამე შენობა არაფერიაო. მარტო

ერთად ერთი პრიჩეტნიკის კითხვა-გალობა ჰგავს სხვა პრიჩეტნიკების კითხვა-გალობასო და სხვისი არაო; სანთელი ძირს პოლზე ჰყრიაო და სხვ. ჩვენ ვეთანხმებით გამვლელს, რომ ეკკლესია პატარა არის და უპლანო, მაგრამ გამვლელს უნდა შეეტყო მრევლის სიღარიბე და მაშინ აღარ გვაუგებდა, დარწმუნებული ვართ. მე მრავალ გზის ვცდილვარ პლანის ეკკლესიის აგებას, მაგრამ ვერ გავხდი ღონეს. გამვლელს ლურჯი სათვალეები ჰქონებია თვალებზე და ყველაფერი მტვერით დაფარული მოჩვენებია, თორემ ეკკლესიაში ყველაფერი წმიდათ და სუფთად არის. ეკკლესიის ეზოში, მართალია, სკოლა არ არის, მაგრამ ყარაულების სადგომი, სენაკი, კი არის, მაგრამ ვერც ეს დაუნახავს გამვლელს. სკოლის გახსნაზე ბევრი ეცადა სახორციელო მართებლობაც, მაგრამ ვერას გახდა. პრიჩეტნიკი რომ ერთად-ერთია, ამას ჩვენ ვამოწმებთ, მაგრამ შტატის დებულებით მეორე პრიჩეტნიკის ადგილი არ არის. კარგად ვასრულებთ ჩვენ მღვდელ-მოქმედებას, თუ ცუდათ, ეს მრევლმა იცის კარგად. სანთლები თავის ადგილზე გვაქვს შენახული და არა პოლზე დაყრილი; იქნება ერთი ორი ნამწვი სანთელი ეგდო ძირს, მაგრამ ამისთანა შეცდომები სობოროებშიაც მოხდება ხოლმე. ,,ეკკლესიაში ხალხი ცოტა იყოვო'' ბრძანებს გამვლელი. ჩვენ თავის დროზე ვრეკავთ და, თუ არავინ მოვა, ძალით ხომ ვერავის მოვიყვანთ ეკკლესიაში? ჩვენი რა ბრალია, რომ ეკკლესიაში ხალხი არ მოდიოდეს?'' (!)

***

Oსეთიდამ მღვდლის ლავრენტი წერეთლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

,,1883 წელსა, იანვრის 16 დღესა გარდამიყვანეს ახალ პრიხოდში. რასაკვირველია, პირველათ უცხო ხალხის გაცნობა ძნელია. ერთი კვირის შემდეგ ეკკლესიის სტაროსტას გამოვკითხე ყოველისფერი გარემოება და ჩვეულება ახალი სამრევლოისა; ვკითხე ამასთან, თუ ეკკლესიის სანთელს როგორ ჰყიდდა. სტაროსტა ყოჩაღათ მიგებდა პასუხს, როგორც მოგეხსენებათ ოსების ამბავი და კიდევაც იკვეხნიდა, რომ ჩემ წინამოადგილე მღვდელმა დაუტოვა მას სამახსოვროდ მისა ქებითი მოწმობა, თუ როგორ ემსახურა იგი ეკკლესიას 13 წ. განმავლობაში. მეორე, თუ მესამე დღე იყო, სტაროსტამ მომიტანა ნახევარი ფურცელი ქაღალდი, ქართულ ენაზე დაწერილი. შიგ ეწერა: ,,მოწმობა ესე მიეცა მახჩისკის წმიდის ნიკოლოზის ეკკლესიის სტაროსტას დ. ძ—ევს, მას შინა, რომელ იგი არის ძლიერ ზარმაცი, კვირა-უქმ დღეებზე, თუმც კაცი არ გაუგზავნე, ეკკლესიაზე არ მოდის და, თუ მოვიდა, ვაი თქვენს მტერს; იმას უძახო, თუ ჩემი საქმე გავაკეთო? ერთხელ მღვდელი ვერ სწირავს, რომ ამ სტაროსტამ არ შეაშლევინოს; უყვარს არაყით სავსე ყანწის დალევა, ეკკლესიის სანთელს ნისიათ აძლევს და ვინც წაიღებს, ისიც აღარ ახსოვს, ძნელია ამისთანა სტაროსტასთან სამსახური.''

,,მას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასხმითა საეკკლესიო ბეჭდისათა. Iანვრის 13 დღესა 1883 წ.'' მღვდელი ხელს აწერს.

Hინდოდა ეს მოწმობა ყოფილიყო საეკკლესიო საქმეებში შენახული, მაგრამ წაკითხვისთანავე სტაროსტამ გამომართვა და დახია. მეტის მეტად გაჭირვებული გვაქვს საქმე ცუდი სტაროსტებისაგან, მაგრამ რას იზამ, რომ ამ თანამდებობაზე ხეირიანი არავინ დგება!''

***

Ⴙვენ გვატყობინებენ სურამიდამ, რომ იქაური მართლ-მადიდებელი ეკკლესიის გატეხა განუზრახავთ ქურდებს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგან გამვლელ-გამოვლელებს მოუშლიათ.

***

Ⴀქიდამვე გვატყობინებენ, რომ Ⴉალის ეკკლესია გაუტეხიათ და ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი წაუღიათ. Ⴕურდები დღესაც ვერ უნახავთ. საკვირლად გახშირდა ეკკლესიების ცარცვა. სტოროჟები, ვგონებ, თითქმის ყველგან არიან დაყენებულნი, მაგრამ ეკკლესიები მაინც იტეხებიან ქურდებისაგან...

***

Ⴂამოვიდა მეორე ნაწილი ქართული Ⴃაბადებისა, მეთიმე ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი. Ⴍრივე ნაწილი Ⴃაბადებისა ისყიდება ექვს მანეთად. საზოგადოებაში ბევრნი არიან მისი სყიდვის მსურველნი, მაგრამ ბევრი ვერ შოვობს თავის ადგილებზე და Ⴒფილისში ერთი Ⴃაბადებისთვის ვერვინ წავა. Ⴉარგი იქნება, რომ ბლაღოჩინები იქონიებდნენ ორ სამ გასაყიდელ Ⴃაბადებას და მთხოვნელებს დააკმაყოფილებდნენ...

***

Ⴙვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქ Ⴒფილისში საქართველოს ექსარხოსისაგან მომავალ 17 ნოემბრისათვის არის დანიშნული ეპარქიალური სამღვდელოების დეპუტატების შეკრებილება ფრიად საყურადღებო საგნებზე მოსალაპარაკებლად.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## ფარისევლური მიმართულება ეხლანდელი დროის ხალხისა *).

(დასასრული).

ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა (მათეს ივ—ვ).

როგორ ხშირად მიგვიზიდავენ ჩვენ კაცნი თავმდაბლობით და მორჩილების სახით და გარეგანად თვალ საჩინო კეთილი ცხოვრებით, რომელსაც ნამდვილად და საქმით კი მტაცებელნი, მემრუშენი, ფიცხელნი და დაუზოგავნი არიან!... როგორ ხშირად სარგებლობს ხანდის ხან მორჩილი, ქვეშევრდომი თავისი უმფროსის სრული ნდობითა და დარწმუნებითა გახდება დამცველი და გამგე აუარებელთა საუნჯეთა და სიმდიდრეთა, ასრულებს რა თავის მოვალეობას, ვითომც, რიგიანად. გარნა ესევე, ვითომც უზაკველი კაცი, გამოჩნდება ხოლმე საძაგელი ფარისეველი. ის გაცარცვავს და მოიტაცებს რწმუნებულს მისდამო საუნჯეთა,—უკანასკნელ ლუკმას ასი ათას მქვრივთა და ობოლთა. ყოველ დღე გვაუწყებს ჩვენ გაზეთები მტაცებლობას, ცარცვას მილიონამდისინ იმისთანა პირთაგან, რომელნიც განსხვავდებოდენ პატიოსნებით და ხარისხოვნებით. რამდენ ულმრთოებას, ძალადობას ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში ცხოველური მომდომის დასაკმაყოფილებლად; ხანდის-ხან ამისთანა საოცარი მოქმედებების ჩამდენნი არიან ხოლმე ისინი, ვინც ჩვენ პატიოსნებად და კეთილად გვეჩვენებოდნენ!... რა გასაკვირველი ფარისევლობა არსებობს ყველა ამ შემთხვევაებში!.. როგორი საშიშარი ზნეობის თავ-ახსნილობაა, ფარისევლური სულის მიმართულებისაგან წარმოდგენილი!.. გარნა ფარისევლობა ჩვენი დროისა ამას არ ჯერდება; ის კიდევ უარესია დღეს. აღმოჩნდენ იმისთანაები, რომელთაც მოიხადეს ფარისევლური პირსაფარი და იკეთებენ სხვა პირსაფარს საძაგელს, ურცხვს და ურცხვად ამართლებენ თავიანთ საძაგელ მოქმედებას; ამის ნაცვლად ისინი აძაგებენ და ჰგმობენ ყოველსა, რაც წმიდა არის. იმათ აურდაურიეს კაცთა შეხედულება და ცნობა; კეთილი მათთვის შეიქმნა ბოროტად, ხოლო ბოროტი—კეთილად. ღმერთი და მისი წმიდა ნება მათთვის საგმობი და სასაცილო შეიქნა; ულვთოება და არა წმინდება—საქებარი საგანია მათთვის. საკუთრება მათთვის—სატაცებელია: მტაცებლობა მათთვის — თავის საკუთრების მოხმარებაა. პატიოსანი ქორწინება გარყვნილებაა; ნამდვილი გარყვნილება — კანონიერი და ბუნებრივი ცხოვრებაა. ამისთანა არევ-დარეული შეხედულება სუფევს სხვაშიაცა. აქ ფარისევლობა აღვიდა უმაღლეს ხარისხამდე: უსირცხო პირ მოთნეობა ცდილობს, რომ დაანახოს ხალხს კეთილის მხრით უკეთურება. იქ, ძველ დროს, საფლავებში — ძვლები და უწმინდურება იყო მკვდართა, მაგრამ გარეგანად მაინც მათი საფლავი გამშვენებული იყო. აქ, ჩვენ დროში, ჩვენ პირმოთნეთა საფლავებში არის ყველგან და ყველაფერში უწმინდურება. როგორ უნდა ვებრძოლოთ ამისთანა საშიშარ ფარისევლობას? უნდა ვეცადოთ, რომ აღვადგინოთ ჩვენშიაც და სხვაშიცა პატიოსნება, სიმართლე და წრფელი შიში ღვთისა... საჭიროა, რომ პატიოსანი და მაღალნი სიტყვანი, პატიოსანი გულისაგან გამომდინარებდნენ და კეთილ საქმესთან იყვნენ შეერთებულნი. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილი შეხედულება ეთანხმებოდეს კაცის შინაგან სულის მდგომარეობას, გამომხატველი იყოს შინაგანი კეთილის ცხოვრებისა. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილ მსახურებრივი სახე გამომხატველი იყოს შინაგანი კეთილ მსახურებისა, ღვთის სიყვარულისა და მის წინაშე კრძალვისა. უმთავრესად ჩვენი ყურადღება და ჩვენი შრომა უნდა იქმნეს მიქცეული ჩვენ კეთილ მიმართულებაზე, ჩვენი სულის განკეთილებაზე და მაშინ გამობრწყინდება იგი გარეგანად ჩვენს კეთილ გარეგან მოქმედებაშიაცა.

ხალხნი, განხრწნილნი ფარისევლური სულითა, არ არიან კმაყოფილნი იმა კერძო გავლენითა ხალხზე, რომელსაც ისინი მოიპოვებენ გარეგანი, ფარისევლური პატიოსნებით, ცრუ სიტყვებით და გარეგანად კეთილის გამოჩენით: ისინი ეძიებენ უმფროსობას თავის თავის მოყვარების დასაკმაყოფილებლად და უფრო ადვილ ცარცვა გლეჯისათვის. უმფროსობას შეუძლია, რომ დაახლოვოს იგინი ხალხის სიმდიდრესთან და გაუადვილოს მათ ცარცვისა და მტაცებლო-

*) მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლეს სიტყვისაგან.

ბის საქმის შესრულება: აი ამისათვის იკლავენ თავს ზოგიერთი ფარისეველნი, უფროსობის მაძიებელნი და არა ხალხის კეთილ დღეობისათვის და თავის მოვალეობის მტკიცედ შესრულებისათვის. ქრისტეს დროის ფარისეველნი ყოველივე ღონის ძიებით ცდილობდნენ, რომ პირველად ხალხისთვის ჩაეგონებიათ, რომ იგინი საუფროსოდ დანიშნულნი არიან და შემდეგ ძალა უნებურად იგდებდენ ხელში უფროსობას. მათ უყვარდათ ზემო ჯდომა სერსა ზედა (სადილზე), პირველ ადგილზე ჯდომა შესაკრებელთა შორის და მოკითხვა უბანთა ზედა; მათ სურდათ რომ ხშირად ეწოდებიათ მათთვის: მოძღვარ! მოძღვარ! (მათეს კგ—ვ—ზ) და, როდესაც შეიქნებოდენ უფროსებად, თავის უფროსობას არ ხმარობდნენ სასარგებლოდ ხალხისა. უფროსობას ხმარობდენ თავისი თავ მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ხალხის შესავიწროებლად, საცარცვავად სხვათა, გასარყვნელად ხალხთა და განსაშორებლად ქრისტეს სასუფეველისაგან. ისინი დახშავდნენ სასუფეველის კარსა კაცთათვის; თვითონ არ შედიოდნენ და არც სხვას უშვებდნენ (მათეს კგ—იგ). უამათოდ ამაებისთანა მატყუართა და გარყვნილთა პირთა საქციელი არ შეიძლებოდა... ჩვენ დროშიაცა კი ფარისევლური სულის პატრონნი ეძიებენ უფროსობას: ერთს მათგანს უნდა დააკმაყოფილოს თავისი თავ მოყვარება, ამპარტავნება, სხვათა, — რომ დააკმაყოფილონ თავისი მტაცებლობის და ცარცვის გრძნობანი და მიდრეკილებანი, სხვათა კიდევ, ორივე მიზანთა აღსასრულებლად. და არა იშვიათად მოხდება ხოლმე, სამწუხაროდ, რომ ზოგიერთნი უღირსნი, სხვა-და-სხვა ეშმაკური მოხერხებით და ცბიერობით ჩაიგდებენ ხელში დიდ ადგილს, დიდ უფროსობას და ამასთან ჩაიგდებენ თავის გამგეობაში საზოგადოების, ხალხის სიმდიდრესაც. დიდი უბედურებაა ეს, როგორც მთავრობისათვის, ისე მთავრობის ქვეშევრდომთათვის. უღირსნი მთავარნი თავის უგნურებით, უპატიოსნებით და ცარცვაგლეჯით, ამდაბლებენ უფლებას ხალხის თვალში და უკარგვენ მას რწმუნებას და მნიშვნელობას: ხალხს ჰგონია, რომ ყველა ამ უწესოებათა მიზეზი ვითომც თანამდებობა, უფლება იყოს. აი სწორეთ ამისთანა უფროსები შეარყევენ ხალხის კეთილ დღეობას და მიაყენებენ მათ სხვა-და-სხვა უბედურებას. აი სწორეთ ამისთანა უფროსები დაიმსახურებენ ხოლმე უმაღლესი მთავრობის რისხვას და სასჯელს, რომელიც ზრუნავს ხალხისათვის და არ ითმენს უფლების წარმომადგენელთა უსამართლოებას და მტაცებლობას. როგორ უნდა ვებრძოლეთ ამ საშინელ ბოროტებას? როგორ უნდა ვიმოქმედოთ ფარისევლური მიმართულების, მთავრობის მოყვარების, თავის მოყვარების და ამპარტავნობის გავრცელების წინააღმდეგ?..

უნდა აღიზრდებოდნენ ხალხნი მორჩილებაში; აღიზრდებოდნენ ბავშობიდანვე ყოველი წოდების და მდგომარეობის პირნი. ფარისევლური სულის მიმართულება მთავრობის მოყვარეობისა და ამპარტავნული ცხოვრებისადმი, როგორც ერთი უმთავრესი მონდობილება ჩვენი ცოდვილი სულისა, შეხორცებულია ჩვენ ბუნებასთან, ჩვენ სულთან დღიდგან დაბადებისა. პატარა ყრმაც, ამ სულის გავლენას ქვეშე მყოფი, პატარაობაშივე გამოიჩენს მთავრობის მოყვარეობას:—ის ცდილობს, რომ არა თუ მოიშოროს დამოკიდებულება და მორჩილება მშობელთა და აღმზრდელთა, არამედ თვითონ ისინი თავის მნებლობას დაუმორჩილოს. ამისთანა ბავში ხშირად შეიქნება ხოლმე მტარვალად და შემწუხებლად თავისი ოჯახობისა, მაშინ ნამეტურ, როდესაც უგნურნი მშობელნი წააქეზებენ ამაზე მათ. ძლიერ დაბალი წოდების ხალხის ბავშებშიაც გამოიჩენს ხოლმე თავს ფარისევლური სულის მიდრეკილება, ამპარტავნობა და მთავრობის მოყვარეობა.. და რა უნდა ვსთქვათ ახალ მოზარდე თაობაზე?.. როგორ ხშირად ვხედავთ ჩვენ, რომ ყმაწვილები რომელნიც შეჩვეულნი არ იყვნენ მორჩილებას და მთავრობის პატივისცემას, ხშირად გამოიჩენენ მთავრობის მოყვარებას და წინააღმდეგობას საშიშარ წინააღმდეგ და დასაღუპავ საქმეებში. ამისთანა ბოროტება უნდა განერონ კეთილ დროებითად რიგიანი ზომებითა... ამისთანა ზომების ხმარებას ყრმები პატარაობიდამვე უნდა შეაჩვიონ და ეს იქმნება ნამდვილი საშუალება ფარისევლური მთავრობის მოყვარეობის აღმოფხვრისა ხალხთა შორის, რომელიც კაცობრიობას მიაყენებს ხოლმე ამდენს უბედურებას...

გავლენა და უფლება დიდად მიიზიდავს მათ, ვინც ერთხელ ნახა გემო უფლებისა, განსაკუთრებით პატივის მოყვარეთა და მხვეჭელთა. პატიოსანნი უფლების მქონე პირნი დაიცავენ უფლებასა თვისსა საზოგადო სიკეთისათვის, წესიერებისა, საზოგადოების წარმატებისა და მშვი-

დობიანობის დამყარებისათვის; მაგრამ უფლების მქონენი, რომელთაც თავისი პირადი სარგებლობა აქვსთ სახეში მარტო და ცდილობენ დარჩენ მთავრად თავისი პირადი სარგებლობისათვის, იმათ სძულთ ახალი თაობა, აღჭურვილი გონებითი და ზნეობრივი ძალითა; ისინი ემტერებიან იმათ, ვინც გაბედავს ახალი ცხოვრების გზის ჩვენებას, — იმისთანა გზისას, რომელიცა მიიყვანს საზოგადოებას ჭეშმარიტ სიკეთედმდი. პატივის და მთავრობის მოყვარენი სულ სხვა-და-სხვა მიმართულებისანი შეერთდებიან ერთად საბრძოლველად იმათთან, ვინც მათ ეჩვენებათ მტრად. ასე იქცევიან ხშირად და იბრძვიან ახალი დაბადებულ გონებით და ზნეობითი ძალის წინააღმდეგ ყველა ფარისევლური მიმართულების პირნი, რომელნიც ხშირად შეადგენს მთელ დაბერებულ ხალხის თაობას. შეხედეთ, როგორ მოქმედობდა წინასწარმეტყველების წინააღმდეგ ფარისევლობა, მაშინ, როდესაც ფარისევლობის წოდება არც კი იყო ხსენებაში. შეხედეთ, როგორ მოქმედობდა ფარისევლობა თვით Ⴈესო Ⴕრისტეს და მისი მოციქულების წინააღმდეგ! თითქმის ერთი წინასწარმეტყველი არ მომკვდარა თავისი ბუნებითი სიკვდილით: იერუსალიმი მოსწყვედდა წინასწარმეტყველთა, და ქვას დაჰკრებდა მივლინებულთა მისდამი (მათ. კგ—ლზ). ასე არ მოქმედობს სული მთავრობის მოყვარეობისა ეხლანდელ დროშიაცა? როგორც კი იშოვიან უღირსნი პირნი სხვა-და-სხვა მოხერხებით უფლებას, როგორც კი შეეჩვევიან უმფროსობას, მაშინვე დაიწყებენ მეყიათად ომობას ყოვლისა და ყოველთადმი, რაშიაც კი ხედვენ თავის უფლების საშიშროებას. ისინი არ უყურებენ მას, რომ სრულებით არ ესმისთ მათ თავისი საქმე, არ აქვსთ ნიჭი, არა აქვსთ არც ფიზიკური და არც სულიერი ძალა საქმის შესრულებისათვის; არ დასდევენ მას, რომ მათ დიდი ვნება მოაქვსთ თავისი მმართველობით მათდამი სამართველო ხალხთათვის, არ მიხედვენ ამას და არ დაუთმობენ თავის ადგილს სხვათა, უმეტესად ნიჭიერთა, უმეტესად მომზადებულთა და შემძლეთა. არა ვითარ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას არ შეუძლია მთავრობის მოყვარეს შეაცვლევინოს თავისი ერთხელვე დადებული მოქმედება, ანუ დააცლევინოს ადგილი სხვა უკვეთეს მოქმედ პირთათვის. ისინი ომს უცხადებენ და ებრძვიან ყოველსა ახალსა, პატიოსანსა, უმჯობესსა და ამით დააყენებენ, შეაჩერებენ კანონიერ ცხოვრებას, პროგრესიულად საქმის მიმდინარეობას, დაჰბადებენ ცხოვრების უმოძრაობას, ღუპავენ მრავალთა და ამით მიაყენებენ დიდ უბედურებას საზოგადოებას და ხალხს.

Ⴐოგორ და რით უნდა ავიშოროთ ჩვენ ეს უბედურება?... ჩვენ უნდა დავამყაროთ ძველსა და ახალ შთამამავლობაში რიგიანი შეხედულება და დამოკიდებულება იმ სახისა, როგორსაც ვხედავთ სამღრთო ისტორიაში. მეგობრულად უნდა უყურებდეთ ახალ თაობას, უცლიდეთ მათ ადგილს, მოვამზადებდეთ მათ, რომ სასარგებლოდ ემსახურებოდნენ, უკუვაქცევდეთ ბოროტ მეშაკთა და უხსნიდეთ გზას მთავრობისადმი ნიჭიერთა და პატიოსანთა პირთა, ვიკავებდეთ მათ უზომო მიდრეკილებისაგან და საზოგადოდ ვცდილობდეთ, რომ იგინი მოვამზადოთ პატიოსანი შრომისა, კეთილი და სასარგებლო უმფროსობისათვის. ამისთანა ძველი თაობისა და მეუმფროსეთა მოქცევით და მოქმედებით, რასაკვირველია, მოსპობილი იქმნება ცხარი ომობა ძველ და ახალ თაობას შორის და მათნი ძალანი მშვიდობიანად დაუთმობენ ადგილს ახალ ძალას და მაშინ ცხოვრება წავა ხალხთა სასიკეთოდ.

Ⴄკრძალენით, ძმანო და დანო, ცომსა მას ფარისეველთასა. ერიდეთ ფარისევლურ სულის მიმართულებას. თვითეულმა პირმან უნდა აღასრულოს თავისი საქმე კეთილ სინიდისიანად და არ უნდა დაადვას თავისი ტვირთი სხვათა მხართა ზედა, რომელნიც, იქნება, ისეც მძიმეთ დატვირთულნი არიან! ყველამ უნდა გააკეთოს თვისი საქმე, აღასრულოს თავისი მოვალეობა, და საზოგადო საქმეც კარგად იქნება შესრულებული, მტაცებლობა, ძალადობა, გარყვნილი ცხოვრება უნდა შეიქმნენ ჩვენთვის საზიზღრად. კეთილნი, პატიოსანნი სიტყვანი ჩვენნი, კეთილ მსახურებრივი გარეგანი ჩვენი საქციელნი უნდა იყვნენ გამომხატველნი კეთილი და კეთილ-მსახურებრივი ჩვენი სულის მდგომარეობისა და შეერთებულნი კეთილ ჩვენ მოქმედებასთან. ჩვენს გულში არ უნდა მონახოს ადგილი მთავრობის მოყვარებამ, პატივის მოყვარებამ, ახალი და ცხოველი ძალისადმი მტერობამ სასარგებლო და ღირსთა მოქმედთადმი. ჩვენ კეთილი უნდა გვსურდეს კეთილ-მომქმედ და პატიოსანთა პირთა და ამ კეთილის მსურველობით უნდა აღიბეჭდოს ჩვენი მათთან კავშირი! ფარისევლური სული

მთავრობის მოყვარებისა, ამპარტავნებისა და ფულის სიხარბისა კი არ უნდა სუფევდეს ჩვენში, არამედ სული მეზვერისა, მორჩილებისა უნდა უფლებდეს ჩვენს სულში და—მაშინ შევიქმნებით ჩვენ საზოგადოებისთვის სასარგებლო მომქმედნი, შრომის მოყვარენი, პატიოსანნი და Ⴖვთის მოშიშნი. Ⴖმერთი მაშინ იქმნება ჩვენ ცოდვილთათვის მოწყალე და ყველას იქმს ჩვენ საკეთილოდ, როგორც დროებიდამ, ისე საუკუნოდ. ამინ.

## ნარევი

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ყოველ წლობით მატულობს გაზეთების მოთხოვნილება საზოგადოებაში და მრავლდება მათი მკითხველების რიცხვი. ერთი ჟურნალის გამოანგარიშებით 1826 წელში მთელს დედამიწაზე გამოდიოდა 3168 (სამი ათას ას სამოცდა რვა) დღიური გამოცემა; ამ რიცხვიდამ ამერიკაში გამოდიოდა 978 (ცხრაას სამოცდა თვრამეტი) გამოცემა. დღეს მთელ დედამიწაზე გამოდის ყოველ დღე 25,000 (ოცდა ხუთი ათასი) გაზეთი. ამ რიცხვიდამ ამერიკაში გამოდის 9,000 (ცხრა ათასი) გამოცემა, სადაც ორმოცდა ათი მილიონი მცხოვრებია. ერთი გაზეთი მოუწევს ხუთი ათას სულზე, შვეიცარიაში ექვსი ათას სულზე; ფრანციაში და გერმანიაში თოთხმეტი ათას კაცზე; ანგლიაში თექვსმეტი ათასს კაცზე და რუსეთში ასს ორმოცდა ათიათას კაცზე. ჩვენ საქართველოში შვიდას ათას კაცზედაც არ მოუწევს ერთი გამოცემა. ყოველ დღეში ორმოცდა ათი მილიონი გაზეთის ფურცელი გამოდის და იკითხება.

### ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ᲑᲖᲕᲐᲜᲡ. მღ. ს—შვილს. ზამოძიების გათავებამდისინ არის თქვენი პასუხი გადადებული. Ⴇუ თქვენ სასარგებლოდ გათავდა გამოძიება, მაშინ თქვენს პასუხს დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ.

# განცხადებანი.

### ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოდამ.

მმართველობა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ამით უცხადებს სამღვდელო და საერო პირთა, რომელთაცა სურთ თავიანთი შვილები შემოიყვანონ ამ დანიშნულს სასწავლებელში შემდეგს:

1) პირველათ შემომსვლელ ყმაწვილებისათვის სასულიერო სასწავლებელში სამმართველომ დანიშნა დრო საეგზემენოთ 1-ს სექტემბრიდგან ვიდრე 4-მდის,—ყოველ-დღეს გამუდმებით, რვა საათიდგან მოკიდებული ორს საათამდისინ. ეგზამენების რიგი პრავლენიის კარებზე იქნება დაკიდებული შესატყობლად მსურველთათვის.

2) თხოვნა სასწავლებელში მიღებაზედ უნდა იქმნეს შეტანილი 1-ს სექტემბრამდის უთუოდ სასწავლებლის ზედამხედველის სახელზედ. თხოვნასთან უეჭველად უნდა იქმნეს წარდგენილი მეტრიკის მოწმობა, ანუ გადმოწერილი პირი მეტრიკიდგან მისაღები ბავშვის წლოვანებაზე შემოწმებული ეკკლესიის ბეჭდით და ხელმოწერილი კრებულისაგან; მეტრიკის პირს უნდა ეკრას სამ აბაზიანი მარკა; მეტრიკასთან საჭირო არის მოწმობა ყვავილის აცრაზედ, ანუ სადაზედ. თუ, ვინიცის, მღვდელს უძნელდება ყვავილის აცრის მოწმობის მოცნა, სამმართველოს შეუძლია შეამოწმებინოს ყმაწვილი სასწავლებლის ექიმს. ყვავილის აცრის მოწმობას ღერბის მარკა არ უნდა.

3) ყმაწვილების მიღების დროს პრავლენიე უპირატესობას აკუთვნის სასულიერო წოდების შვილებს საერო პირთა შვილებთან;—სასულიერო და საერო წოდების ყმაწვილებმა რომ ერთნაირად კარგა დაიჭირონ ეგზამენები, ჯერ სასულიეროსას მიიღებს, და, თუ შემდეგ ადგილი იქნება,—საეროსასაც; ამასთანავე საერო წოდების მთხოვნელთა სწავლის უფლების ფულიდგან ნახევარი უთუოდ ამ თავიდგანვე თხოვნასთან უნდა შემოიტანონ, თორემ თხოვნა ყმაწვილის მიღებაზე უყურადღებოდ დარჩება და თვითონ ყმაწვილიც არ დაიშვება ეგზამენიაში. თუ ყმაწვილმა ეგზამენი ვერ დაიჭირა, ფულიც და დოკუმენტებიც უკანვე დაუბრუნდება.

4) ყველა მშობლები და აპეკუნები, როგორც ახლად მიღებულ ბავშვებთა, ისე მყოფ მოწაფეთა ვალდებულნი არიან შეატყობინონ სასწავლებლის ზედამხედველს, თუ სად აბინავებენ მოსწავლეთა.

2—2.

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ყველა გამოსული №№-ბი გაეგზავნება.

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი"

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი"-სა შეიცავს თორმეტ წიგნსა.

ყრმათა საკითხავ წიგნში იბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—იბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები, პედაგოგიური თხზულებებისა, პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარევი, „ნობათი"-ს ფოსტა, განცხადებანი.

ჟურნალი „ნობათი" ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირს ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ე. ფურცელაძისას. თელავში—ი. პ. როსტამაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати"*.

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

3—3.

იბეჭდება და ცოტა ხანში გამოვა

## ლოცვანი

მეორე გამოცემით და დამატებით.

შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ.

## ვიღებ

როგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკლესიის კანკელებს და კიოტებს გასაკეთებლად. ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. ტფილისში, საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლ., № 8.

კანკელისა და მებელის ოსტატი

დავით გიგაური.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

## საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „მწყემსის" რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

*Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Августа 1884 г.*

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Peрадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.